საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

თევზსაჭერი გემის ნავიგაცია

პროგრამის კატალოგი

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 27, 26.12.2017 წ.

European Commission
TEMPUS

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	*პროფესიული*
პროგრამის დასახელება	*თევზსაჭერი გემის ნავიგაცია*
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	***ნაციონალური :*** *მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში;* ***საერთაშორისო :*** *Pearson SRF Level 4 (Georgian Level 5) Diploma in Fishing Vessel Navigation*
პროგრამის ხელმძღვანელები	*ანა შოთაძე* *ელ.ფოსტა: a.shotadze@bsma.edu.ge*
პროგრამის განხორციელების ადგილი	*ბათუმი, რუსთაველის ქ.№53* *ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge*
სწავლების ფორმა	*სტაციონარული*
პროგრამის მოცულობა	*88 ECTS*
პროგრამაზე ჩარიცხვის წინა პირობა	*სრული ზოგადი განათლება, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, ფორმა №IV -100/ა“, პროფესიული ტესტირების შედეგები*
სწავლების ენა	*ქართული*
სწავლების ფორმატი	*ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში სიმულაციის პროცესში, საწარმოო პრაქტიკა*

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე თევზსაჭერ ფლოტში დასასაქმებლად

პროგრამის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს . მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების საფუძველზე შეუძლია:

- *მოამზადოს და შეაკეთოს ბადეები და სხვა სათევზაო მოწყობილობები და აღჭურვილობები;*
- *განახორციელოს თევზსაჭერი ხომალდის მართვა და ექსპლუატაცია ღრმა წყლებში, თევზჭერის რაიონებში;*
- *განსაზღვროს თევზსაჭერი ადგილი და სანავიგაციო პოზიცია, დაადგინოს გემის სვლის კურსი კომპასის, რუკებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით;*
- *გამოიყენოს სანავიგაციო აღჭურვილობები და სხვა დამხმარე ელექტრონული ხელსაწყოები;*
- *გაუწიოს ზედამხედველობა ეკიპაჟს და მართოს თევზჭერის ოპერაციები;*
- *აწარმოოს ჩანაწერები თევზჭერის პროცესის (ჭერილის რაოდენობის) ასევე ამინდისა და ზღვის მდგომარეობის შესახებ;*
- *გამართოს (სატყუარას ჩამოცმა, გადასროლა და ამოქაჩვა) თევზსაჭერი აღჭურვილობა;*
- *მოახდინოს თევზის პირველადი დამუშავება გემბანზე ან ნაპირზე (თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება);*
- *შეარჩიოს და გაწვრთნას ხომალდის მუშახელი;*

პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აითვისოს **88** კრედიტი, აქედან

- 8 ECTS ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი მოდულები;
- 40 ECTS საერთო პროფესიული / დარგობრივი მოდულები;
- 40 ECTS - 6 თვე საწარმოო პრაქტიკა;

პროგრამის ხანგრძლიობაა 14 თვე. საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე სტუდენტს წარმატებით უნდა ქონდეს ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და საწარმოო პრაქტიკის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს, რომელსაც მინიჭებულია აქვს მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში, შეუძლია დასაქმდეს თევზსაჭერ ფლოტში შემდეგ პოზიციებზე:

- თევზსაჭერი გემის კაპიტნის თანაშემწე (შკიპერის თანაშემწე);
- თევზსაჭერი გემის კაპიტანი (შკიპერი) (სათანადო ნაოსნობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი)

ადამიანური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალი, საზღვაო სფეროს და დარგის სპეციალისტები

მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს. საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც სასწავლო-საწვრთნელი დანადგარებით და სიმულატორებითაა აღჭურვილი.

შეფასების სისტემა

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია მოდულებში.

თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!